„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველა“

კოლხიდა

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2019 წელი • №16 (9464) • 16-31 აგვისტო • ფასი 50 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი ცნობილ არქიტექტორს, სენაკის საპატიო მოქალაქეს ვახტანგ დავითაიას შეხვდნენ. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, ქალაქ სენაკის ცენტრალურ სკვერში მდებარე, მოქანდაკე ვაჟა მელიქიშვილის ,,ხსოვნის მემორიალს", რომლის არქიტექტურა ვ.დავითაიას, შ. ბოსტანაშვილს, გ.გეგელიას ეკუთვნის, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი

მიენიჭა. მთლიანობის და კანონზომიერების სიმბოლო, გახლეჩილი კუბი, რომლის ჭრილში შესული ადამიანი ომის საშინელებით განწამებულთა ტრაგიკულ გარემოში აღმოჩნდება, 35 წლის წინ, 1984 წლის 9 მაისს, სამამულო ომში დაღუპული სენაკელების ხსოვნის უკვდავსაყოფად გაიხსნა. შეხვედრაზე, რომელსაც მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, მწერალი ბორის დავითაია, არქიტექტორი ჯემალ გიგიბერია ესწრებოდნენ, საუბარი ,,ხსოვნის მემორიალის" რესტავრაციას, მომავალი თაობებისთვის ძეგლის მნიშვნელობის გაცნობას და ძეგლის ბარილიეფის დამზადებას შეეხო.

სოფლის მეურნეობის საკითხებზე

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე დავით ფარცვანია რეგიონის მერების მოადგილეებს, სოფლის მეურნეობის სამსახურების უფროსებს და გარემოს

დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების წარმომადგენლებს შეხვდა. სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს PMA სენაკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მთავარი სპეციალისტი გიორგი ხარგელია ესწრებოდნენ, სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ სახელმწიფო პროგრამებსა და მათ მნიშვნელობაზე, ასევე, სახელმწიფო პროექტის „დანერგე მომავალი" კენკროვანი კულტურების დაფინანსების ძირითად ასპექტებზე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობაზე, მეცხოველეობის, სასათბურე მეურნეობებისა და აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრეს.

შეხვედრა დევნილ მოსახლეობასთან

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი რუსლან აბაშიძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ქეთევან ბაკარაძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მინისტრი კონსტანტინე კუჭუხიძე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი და თვითმმართველობის წარმომადგენლები, სენაკის ყოფილი სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე, კომპაქტურ ჩასახლებებში მცხოვრებ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს შეხვდნენ და მათ პრობლემებსა და საჭიროებებს ადგილზე გაეცნენ. დევნილ მოსახლეობასთან უშუალო დიალოგში, მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივებში გადასაწყვეტი პრიორიტეტული საკითხები გამოიკვეთა, რომლებიც ძირითადად ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-ეკონომიკურ, ჯანდაცვის, დასაქმების და კულტურულ -საგანმანათლებლო მიმართულებებს ეხებოდა. შეხვედრაზე, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ისაუბრეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით მიმდი-

ნარე და დაგეგმილ პროგრამებზე, რაც უშუალოდ დევნილთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო ინტეგრაციას, მათი დასაქმების, სხვადასხვა პროექტებში ჩართვის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა რუსლან აბაშიძემ, მოსახლეობასთან დისკუსიისას, ხაზი გაუსვა დევნილ მობინადრეთა ამხანაგობების შექმნის მნიშვნელობას, რაც პრობლემური საკითხების გამოკვეთასა და ეფექტურ გადაჭრას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. მუნიციპალიტეტის მერის, ლევან კუპრეიშვილის თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის ძალისხმევით, კომპაქტურ ჩასახლებებში თანმიმდევრულად მოგვარდება გაზიფიცირების, სანიაღვრე არხების მოწყობის, წყალმომარაგების და კანალიზაციის მოწესრიგების, საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პრობლემები. ახლო მომავალში, კომპაქტური ჩასახლების ტერიტორიაზე, ასევე განხორციელდება სპორტული მოედნის მოწყობა. ხელისუფალთა შეხვედრები დევნილ მოსახლეობასთან, რომლებიც საჭირბოროტო საკითხების გადასაჭრელად, მათთან მჭიდრო თანამშრომლობას ისახავს მიზნად, პერიოდულად გაგრძელდება.

პრემიერა სპექტაკლისა „ძალად ექიმი“

სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზში, აკაკი ხორავას სახელობის სენაკის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის, ჟან-ბატისტ მოლიერის პიესის ,,ძალად ექიმის'' მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა გაიმართა. მოლიერის უკვდავი კომედიის თანამედროვე რეალობასთან შერწყმული ვერსიის დამდგმელი რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელი პეტრე ჩარგეიშვილია. მარადიულ ტიპებად ქცეულ პერსონაჟებს ადგილობრივი დასის მსახიობები ორიგინალურად და შთამბეჭდავად ანსახიერებენ. საგულისხმოა, რომ დღევანდელ პრემიერას სიმბოლური დატვირთვა აქვს - 1881 წლის თებერვალში, დაბა ახალსენაკში, თეატრის მოყვარულთა საზოგადოების მიერ წარმოდგენილ იქნა მოლიერის ,,ძალად ექიმი''. 138 წლის წინ, ად-

გილობრივი ძალებით გამართული სწორედ ეს წარმოდგენა შეიქმნა სენაკის მდიდარი თეატრალური ტრადიციების ათვლის წერტილი. სპექტაკლს, რომლის დადგმაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა, თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სამ ადმინისტრაციულ ერთეულში

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული ალექსანდრე მოწერელია, საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერაია, ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი მერაბ ქვარაია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის, სურსათის და სოფლის განვითარების დეპარტამენტის უფროსი თენგიზ კალანდაძე, სენაკის მუნციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ რუსია, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, თვითმმართველობისა და შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებთან ერთად, სენაკის მუნიციპალიტეტის სამ ადმინისტრაციულ ერთეულში - ძველ სენაკში, ნოქალაქევსა და გეჯეთში - ადგილობრივ მცხოვრებლებს შეხვდნენ. ცენტრალური, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს და მოსახლეობის პრობლემებს ადგილზე გაეცნენ. შეხვედრები, რომლის მიზანია საჭირბოროტო საკითხების გადასაჭრელად ხელისუფლებისა და მოსახლეობის მჭიდრო თანამშრომლობა, დიალოგის რეჟიმში წარიმართა. სახელმწიფო რწმუნებულმა ალექსანდრე მოწერელიამ სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა, რომელიც ადგილობრივი მცხოვრებლების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისკენაა მიმართული. ასევე, აქცენტები თხილის დაცვისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების აუცილებლობაზე გააკეთა. თენგიზ კალანდაძემ ხაზი გაუსვა სოფლის მეურნეობის კუთხით განხორციელებული პროექტების შედეგებს და მნიშვნელობას. მოსახლეობასთან შეხვედრისას, საქართველოს პარლამენტის წევრმა, სენაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ბერაიამ და სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ მასშტაბურ სამუშაოებზე ისაუბრეს.აღნიშნეს, რომ აქტიურად გაგრძელდება მუნიციპა-

ლიტეტის სრული გაზიფიცირების და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პროცესი. ეტაპობრივად მოგვარდება ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც ქალაქად და სოფლად მცხოვრები მოქალაქეების წინაშე დგას. შეხვედრებზე მოსახლეობამ პრიორიტეტებად გამოკვეთა შიდა გზებისა და სანიაღვრე არხების მოწესრიგების, ამბულატორიების, სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაციის, გაზიფიცირებისა და წყალმომარაგების საკითხები.მსგავსი დისკუსია მოსახლეობასთან პერმანენტულად გაგრძელდება.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

„დიდების მემორიალს“ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

საოცარია, პატარა, მარადი საქართველო. თავისი არა მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობით, ბუნებითა და ისტორიული წარსულით გახლავთ გამორჩეული, არამედ იმითაც, რომ არ არის დარჩენილი ადგილი, რომელიც არ გაჟღენთილა წინაპართა სისხლით. ამიტომაც მათ პატივისაგებად ძეგლი, მონუმენტი ან ხსოვნის მემორიალია აგებული ან ყვავილი გაზრდილი ხასხასა და ნაირფერი.

მთა, მდინარე და ზღვაც, წინაპართა სისხლნაპკურია, იქაც სჩანს ცრემლისა და გოდების კვალი.

ასეა სამეგრელოში. სენაკის შუაგულში, დასასვენებელი პარკის ჩრდილოეთ მხარეს, ამაყად დგას ეროვნული გმირის, ქართველთა სამსხვერპლოზე თავდადებული, ჟიული შარტავას ძეგლი. ხოლო, პარკის სამხრეთ მხარეს-„დიდების კუბი”, როგორც ომის საშინელების ეპოსის ამსახველი მემორიალი.

ძეგლი, მონუმენტი და მემორიალი ხომ მარტოდენ გარდასული ჟამის უტყუარი ისტორიულ- დოკუმენტური სურათად არ აღიქმება, არამედ ჩვენი დღევანდელობისა და კიდევ უფრო მეტად მომავლისთვისაა მიძღვნილი. გათვლილია ჩვენი ეროვნული კულტურული ცნობიერების ღრმა პატივისცემისა და იმის გასააზრებლად, რომ ომი საშინელებაა და მისი გამეორება დამანგრეველია. ჩაგვახედებს ცხოვრების სიღრმეებში და თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს მის შავ ჩრდილებს, ბნელ წახნაგებს.

„ხსოვნის კუბი” ორად გაყოფილ- გაჭრილი მემორიალია. კედლებზე თეთრი თაბაშირით გამოძერწილია 120 - ზე მეტი ნატანჯი ფიგურა -საოცრება. ისინი დუმილითა და ტრაგიზმით ღაღადებენ ომის საშინელებას.ერთმანეთში აზელილი ცხენ- კაცის ფიგურები და ზემოდან გამოშვერილი შიშველი მტევნიანი მკლავი, მეტაფორაა „შეჩერდი და მუხლი მოიყარე ამ საშინელების წინაშე.” თავის დროზე ეს იყო ახალი სიტყვა ქანდაკებაში, მხატვრულად იმის გააზრება და თქმა, რომ ომი არასოდეს არ განმეორდეს.

თითქოს ფორმა მარტივია, არქიტექტორებმა ბეტონის კუბში გამოაქანდაკეს, ომის ტრაგედიისა და სიცოცხლის მარადისობის ეპოპეა. შედიხარ გახლეჩილ კუბში და შესვლისთანავე ისეთი შთაბეჭდილება გეუფლება ადამიანი თითქოს ბუნებრივ მღვიმეში შედის, სადაც ხელთუქმნელი სტალაქტიდები ჩამოღვენთილან და აღმართულან. ამ შთაბეჭდილებას ძირითადად დეფორმირებული ფორმები აძლიერებენ. ამიტომ აღიქმება ეს მემორიალი ძეგლად, რომელიც ეროვნული დრამის საზღვრებს სცილდება და ზოგადსაკაცობრივო ტრაგედიის ჟღერადობას იძენს.

სრულიად სამართლიანად, ამ ქმნილებას მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

რაოდენ ნიშანდობლივია, რომ ამ უაღრესად მნიშვნელოვან ხელოვნების ნაღვაწის აღმოსავლეთ მხარეს, სულ ოციოდე მეტრში დგას ფაშიზმზე მებრძოლის გმირი ალექსანდრე წურწუმიას ძეგლი, ხოლო დასავლეთით, მემორიალიდან ოციოდე მეტრზე, პოეტის, „დედის დარიგებისა” და „მეგრული ფაცხას” ავტორის, გიორგი ჭალადიდელის ბიუსტი.ხოლო პარკის ირგვლივ თავმოყრილია უმნიშვნელოვანესი ნაგებობები. აკაკი ხორავას სახელობის თეატრის შენობა. სადაც დიდი არტისტის სული და აჩრდილი ტრიალებს. ამ შენობას უკვე მიანიჭეს კულტურული ძეგლის სტატუსი და ახლა ეს ორი უძვირფასესი ნაგებობა- ქანდაკი მზესავით ანათებს სივრცეს და გვევლინება სულისა და ხორცის უკვდავების გვირგვინად. იქვე ,დასავლეთით დგას სულიერების ტაძარი, იოანე ნათლისმცემის საკათედრო სავანე, საიდანაც თითქმის მუდმივად ისმის ზარის რეკვისა და ლოცვის ხმები და ეს ყოველივე ერთად აღებული ქმნის საოცარ ჰარმონიას, რომლითაც გასხივოსნებულია დიდების კუბი” როგორც ხსოვნის მარადიული ფორმა.

„დიდების მემორიალის” იდეის ავტორები გახლავთ, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ვახტანგ დავითაია, და ასევე შოთა ბოსტანაშვილი და გიული გეგელია. ხოლო მოქანდაკეა, ცნობილი ხელოვანი ვაჟა მელიქიშვილი. მემორიალის შექმნა დაიწყო 1976 წელს. რომელის განხორციელებას აქტიურად უჭერდა მხარს,მაშინდელი რაიონის პირველი მდივანი ვახტანგ ესვანჯია.

ავტორებისა და მოქანდაკის მრავალწლიანი შრომის შედეგად სკულპტურული კომპოზიცია შეიკრა და ის გაიხსნა 1984 წლის 9 მაისს. რომელსაც დაესწრო მაშინდელი ხელისუფლების, კულტურისა და განათლების მაღალი რანგის მოღვაწეები. სტუმრები ევროპიდან .

„ხსოვნის კუბის” გარეგანი სახისაგან მიღებული შთაბეჭდილება ქმნის შეგრძნებას თითქოს მეხი დაეცა და შუაში გახლიჩაო.მემორიალის გაპობილი მხარეების ორთავე მხარეს გამოსახულია ჭრილობის, ტკივილისა და ტრაგედიის მაუწყებელი სიუჟეტები. რაც იტაცებს თვალს. შიდა ინტერიერი ერთიანდ სავსეა რელიეფით.არქიტექტურა შერწყმულია პლასტიკასთან. ადამიანი შედის არა არქიტექტურულ ინტერიერში, არამედ პლასტიკურ მოცულობაში. ამდენად მონუმენტი ძეგლის ზოგადი მხატვრული კონცეფციის საფუძველს ქმნის. ამდენად ლაკონური გარეგნული იერისა და მოძრავი, ექსპრესიული, რამდენადმე ამორფული პლასტიკის კონტრასტული ერთიანობას წარმოადგენას .როგორც ზემოთ ავღნიშნე სრულიად ახლებურად და ორიგინალურად წყვეტს არქიტექტურას და სკულპტურის სინთეზის პრობლემას. როგორც არა ერთმა ცნობილმა მოღვაწემ აღნიშნა, სენაკის „დიდების კუბი” გახლავთ „დაღუპულთა ხსოვნის თავისებური რექვიემი“.

ბორის დავითაია,
აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურიეტი.
ჟ. შარტავას სახელობის მხარემცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი

შეიყვარეთ ბავშვი ნამდვილი სიყვარულით

მასწავლებლობა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და საპატიო პროფესიაა მთელს მსოფლიოში, რადგანაც იგი ზრდის მომავალ თაობებს. კარგი მასწავლებელი კი –მთავარი პირობაა, რომლის მიხედვითაც ჩვენ, მშობლები სკოლას ვირჩევთ. სასწავლო წლის მოახლოებისას გაგვიგია ახალგაზრდა მშობლების საუბარი: „რომელ სკოლაში წავიყვანო ბავშვი”, „ხომ არ იცით წელს მეორე სკოლაში ნელი შონიას ჰყავს პირველი კლასი?”, „ამბობენ კარგი მასწავლებელიაო”, „ნეტავ კლასი შევსებულია”, „მე ჩემს ბავშვს ნელი მასწავლებელთან წავიყვან” და ა.შ. და ვინ არის ნელი მასწავლებელი, რომელსაც ასე ხშირად და თბილად მოიხსენიებენ? პირველი კატეგორიის მასწავლებელი, არაერთი მედლისა და სიგელის მფლობელი, ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის, „უკვე ყოფილი” პედაგოგი, ქალბატონი ნელი შონია დღეს ჩვენი სტუმარია.

ქალბატონმა ნელიმ დაამთავრა ნოსირის საშუალო სკოლა, სოხუმის გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლებისა და მეთოდიკის ფაკულტეტი. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, 1969 წელს მუშაობა დაიწყო ქვემო ფოცხოს საშუალო სკოლაში, ხოლო 1971 წლიდან დღემდე მუშაობდა ზემოაღნიშნულ სკოლაში.

ქალბატონო ნელი, რატომ აირჩიეთ პედაგოგის პროფესია? დღევანდელი გადმოსახედიდან, რომ გქონდეთ არჩევის შესაძლებლობა, ისურვებდით თუ არა ისევ პედაგოგობას

მასწავლებლობა ჩემი ოცნება იყო. ბავშვობაში თანატოლებთან ერთად ხშირად ვთამაშობდი მასწავლებლობანას, რა თქმა უნდა მასწავლებელი ყოველთვის მე ვიყავი. გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან მიყვარს ბავშვები, გადავწყვიტე გავმხდარიყავი მასწავლებელი და ჩავაბარე პედაგოგიურ ინსტიტუტში. ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს, ისევ იმავე გზას გავივლიდი.

და როგორი იყო ეს გზა?

ეს იყო საკმაოდ რთული, მაგრამ ამავე დროს საუკეთესო პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. ასე მგონია გუშინ დაიწყო ყველაფერი,... არადა 50 წელი გასულა.... რამდენმა თაობამ გაიარა ჩემს თვალწინ. თითქმის ყველა მახსოვს, მახსოვს გვარებიც, სახელებიც. ყოველთვის მიკვირდა მასწავლებლების: როგორ იმახსოვრებენ ამდენ მოსწავლეს-მეთქი. აღმოჩნდა, რომ ეს პროფესიული უნარია. მახსოვს, რომელ კლასთან როგორ ვმუშაობდი, რომელ მოსწავლეს რა უყვარდა და რა მოსწონდა. თითოეული მათგანი მახსოვს და მენატრება. ბედნიერი ხარ, როცა ამდენი ბავშვის გარემოცვაში ხარ, როცა ნიჭიერი ბავშვები გვხვდება(თუმცა უნიჭო ბავშვი არ არსებობს), ასწავლი მათ, ისინი კი კარგად ითვისებენ. საოცარი გრძნობაა, როცა კარგი შედეგი გაქვს. ჩემი პატარები ყოველ დილით ახალ სიცოცხლეს მაძლევდნენ. მათი ენერგია ჩემზე გადმოდიოდა და ორჯერ მეტად სახალისო და საინტერესო იყო მათთან მუშაობა.

თქვენი შეფასებით როგორი უნდა იყოს კარგი მასწავლებელი?

კარგი მასწავლებლი რომ გახდე, ბევრი შრომა და ძალისხმევაა საჭირო. პროფესიული თვალსაზრისით მასწავლებელი ყოველდღიურად უნდა იზრდებოდეს. როგორც უნეტარესმა ილია II ბრძანა: ”მასწავლებელმა, უპირველეს ყოვლისა, მოზარდის სიყვარული უნდა დაიმსახუროს და გასაღებიც მის ხელში იქნება.. მაგრამ სიყვარული რომ დავიმსახუროთ, ჯერ ჩვენ უნდა შევიყვაროთ ბავშვი ნამდვილი სიყვარულით. დიდებს უნდა ახსოვდეთ, რომ ბავშვის მოტყუება შეუძლებელია, იგი გაცილებით მეტს გრძნობს, ვიდრე ჩვენ გვგონია...”.

საპენსიო ასაკის მქონე პედაგოგებს, პროფესიიდან გასვლის შემთხვევაში, განათლების სამინისტრომ გარკვეული პრივილეგიები შესთავა.საუბარია 2 წლის ხელფასის ოდენობაზე, რომელსაც პედაგოგი ერთიანად მიიღებს და სიცოცხლის ბოლომდე ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტის შენარჩუნებაზე. თქვენ ნებაყოფლობით დატოვეთ სკოლა, არ გაგიჭირდებათ ბავშვების გარეშე.

ძალიან მიჭირს ამ ფაქტის გათავისება, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ რომ ჩვენს სკოლაში საუკეთესო პედაგოგებს ვტოვებ, რომლებიც ღირსეულ წვლილს შეიტანენ მოსწავლეების ნამდვილ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში.

ქალბატონმა ნელიმ თავისი მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე თაობებისათვის შეძლო ყველაზე ძვირფასი განძის, ცოდნის მიცემა. გაზეთ „კოლხეთი“ რედაქცია დიდი ხნის სიცოცხლეს და სიხარულს უსურვებს ქალბატონ ნელის.

მ. შონია

28 აგვისტო – მარიამობა

ერთხელ ელეონის მთაზე ლოცვის დროს, მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა ღვთისმშობელს და ამცნო, რომ მისი ამქვეყნიდან გასვლის დღე მოახლოებული იყო და თავად უფალი იზრუნებდა მის სულზე. ასეთი ნუგეშისათვის ღვთისმშობელმა მადლობა შესწირა უფალს, თან შესთხოვა-მიძინების წინ კიდევ ერთხელ ეხილა სხვადასხვა ქვეყანაში საქადაგებლად წასული მოციქულები. მართლაც, სულიწმიდის მადლით ისინი სასწაულებრივად აღიტაცა ღრუბელმა და მოციქულები სიონის მთაზე აღმოჩნდნენ, სადაც უკვე მოეყარათ თავი მორწმუნეებს. დამწუხრებულებს ყოვლადწმიდა ქალწული ანუგეშებდა და თავის ძის წინაშე მარადიულ შუამდგომლობას აღუთქვამდა. როდესაც მოიწია ჟამმა, საოცარი რამ იხილეს, ოთახი ღვთაებრივი ნათლით გაბრწყინდა და ზეციდან მთავარანგელოზისა და ანგელოზების თანხლებით იესო ქრისტე დაეშვა. მაცხოვარმა ასე მიმართა მშობელს: „მშვიდობა შენდა დედაო, დედოფალო ზესკნელთა ..ალილუია, ..ალილუია, ..ალილუია! გიხაროდენ დედაო, სიმართლეო, სამკაულო და დიდებაო ქვეყნისაო!” მაცხოვარმა მშვიდობით მიიბარა ყოვლადწმიდა მარიამის სული და ანგელოზთა გალობის თანხლებით მარადიულ სამკვიდრებელში აიყვანა.

ღვთისმშობლის წმიდა ცხედარი, ანდერძის თანახმად, დიდი ზეიმით დაკრძალეს გეთსამანიის ბაღში, როცა მოციქულმა თომამ, რომელიც მის მიძინებას ვერ დაესწრო, მოინდომა თაყვანი ეცა მარიამის წმიდა ნაწილებისათვის, კიდევ ერთი სასწაულის მოწმენი გახდნენ, საფლავი ცარიელი დახვდათ.

გაცნობიერებული არჩევანი – ოჯახი სიმტკიცის გარანტი

„როცა ოჯახი მყარია, მყარია და შეუდრეკელი სახელმწიფოც"- ეს სიტყვები სრულიად საქართველოს კათოლიკოს –პატრიარქს ილია II-ს ეკუთვნის.

მართლაც რომ მყარად უნდა ჩაითვალოს თეონა ცირამუას და გოჩა ჭანტურიას ახლადშექმნილი ოჯახი. ამის თქმის საფუძველს წყვილის გაცნობიერებული არჩევანი, შეხედულებების, მისწრაფებების თანხვედრა იძლევა.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ უნიჭიერესი ქალბატონი, არაჩვეულებრივი მუსიკოსი გორის ქალთა კამერული გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი, მშვენიერი თეონა ცირამუა სენაკელთა რძალი გახდა.

თეონამ და გოჩამ ერთმანეთი ჩვენი სახელოვანი თანაქალაქელის, საქართველოს სახალხო არტისტის, პროფესორ ანზორ შომახიას ვარსკვლავის გახსნაზე გაიცნეს ერთმანეთი. სიხარულით, განცვიფრებით და საოცარი ჰანგებით აღსავსე დღემ სენაკელ მაყურებელთან ერთად გოჩაც აღაფრთოვანა.

მან კონცერტიდან რამდენიმე დღის შემდეგ თეონას ტელეფონზე შეტყობინება გაუგზავნა, სადაც მადლობას უხდიდა მრავალფეროვანი რეპერტუარისათვის. შემდეგ შეტყობინებაში(2018 წლის 8 მარტს) გოჩამ მოწონება და სიმპათია გამოხატა მშვენიერი ხელოვანისადმი. ასე მიწერ-მოწერით, სატელეფონო ზარებით აეწყო ურთიერთობა, რომელიც ოჯახის შექმნით დასრულდა.

თეონას და გოჩას ქორწილი 17 ივნისს შედგა. მაყრიონსა და მოწვეულ სტუმრებს შორის მრავლად იყვნენ მუსიკოსები, მომღერლები, ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლები, სიძე-პატარძლის მეგობრები. ფოიერვერკებით შემოცილებულმა ნეფე-დედოფალმა ლამაზი საქორწინო აქსესუარებით დამშვენებულ, დახვეწილი დიზაინით მოწყობილ სცენაზე დაიკავეს ადგილი.

მოილხინა მაყრიონმა, მოწვეულმა სტუმრებმა. სადღეგრძელოს სიმღერა ცვლიდა, სიმღერას ცეკვა.

მშვენიერმა დედოფალმა თავის გოგონებთან(გორის ქალთა კამერული გუნდი) კიდევ ერთი ლამაზი საღამო აჩუქა სენაკელებს(ამჯერად მქორწილეებს). არაჩვეულებრივი ჰანგები იღვრებოდა დარბაზში. ბოლო არ უჩანდა მსმენელთა ოვაციებს.

„ეს არ იყო მხოლოდ ქორწილი, ეს იყო ხელოვნების ფოიერვერკი", „სრული ანშლაგი, ქორწილშიც და სცენაზეც"(ასე ეხმაურებიან ქორწილს დღეს ნეფე-დედოფლის მეგობრები).

ენამზიანმა თამადებმა ანზორ შომახიამ და კახა ბაღათურიამ ბედნიერება და შვილების სიმრავლე უსურვეს ახლადშეუღლებულებს.

ბედნიერი წყვილის ბიოგრაფია გაჯერებულია დადებითი მომენტებით.

თეონა ცირამუა თბილისში დიბადა და გაიზარდა. ოჯახი წარმოშობით ჩხოროწყუს რაიონიდანაა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია სადირიჟორო განხრით. 2013 წლიდან არის გორის ქალთა კამერული გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი. 2017 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, არის ჩხოროწყუს და გორის საპატიო მოქალაქე. თეონა გამოირჩევა მაღალი დისციპლინით, მომთხოვნელობით.მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გორის ქალთა კამერულმა გუნდმა მიაღწია არნახულ წარმატებას.

გოჩა ჭანტურიამ დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსად, სოფლის მეურნეობის და ენერგეტიკის საკითხებში მთავარ სპეციალისტად, მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსად, ამჟამად მუშაობს მერის წარმომადგენლად ქ. სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში. გოჩა დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს საზოგადოებაში. პატივს სცემენ როგორც მოკრძალებულ და თავმდაბალ პიროვნებას.

რედაქციაში სტუმრობისას შეკითხვაზე როგორია მათი სამომავლო გეგმები, თეონამ გვიპასუხა:

-გუნდთან ერთად ვემზადები თელავის ფესტივალის ჩასატარებლად, შემდეგ მე და გოჩა საქორწინო მოგზაურობაში წასვლას ვაპირებთ, ალბათ იტალიაზე შევაჩერებთ არჩევანს.

ოჯახში დირიჟორობას ნამდვილად არ ვაპირებ. მკაცრი მეუღლე არა ვარ, სახლში უფროსი მამაკაცი უნდა იყოს. ისეთ ენერგიას ვხარჯავ სამსახურში, სახლი, ოჯახი ჩემთვის განტვირთვაა და სიმშვიდეს ვეძებ. ყოველთვს ვცდილობ კარგი აურა შევქმნა.

დიდი სიყვარული და სითბო მაქვს სამეგრელოსადმი. აქ ნამდვილად იციან ხელოვნების, სიმღერის ფასი. სენაკის საზოგადოებას ეტყობა, რომ კარგი მუსიკალური გემოვნება აქვს.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქციის სახელით ვულოცავთ თეონას და გოჩას ოჯახის შექმნას, ვუსურვებთ მრავალ ძესა და ასულს, წარმატებულ დღეებს, ჯანმრთელობას და სიხარულს.

მედეა გაღათურია

პოეტი მოდის

გაზეთ „კოლხეთის" მკითხველებს ჰქონდათ საშუალება, თვალი ედევნებინათ უტა ხარბედიას პირველი სტრიქონებისათვის.

გაგვიჭირდება მისი ხვალინდელი დღის ამოცნობა, მაგრამ ის ლექსები, რომლებიც მოიწონეთ და რომლებშიც თაობის სათქმელია თქმული, გვაფიქრებინებს, რომ ქართულ პოეზიაში ერთი ახალგაზრდა პოეტის ხმა აჟღერდება.

უტა ახალგაზრდაა, ამიტომაც უცხო არ არის ხმის კილოს ცვლა, გრძნობათა სიჭარბე, სევდიანობა და აღფრთოვანება...

მის ახალ ლექსებში იწყება პოეზია, რთული და უშუალო, რომელიც ავტორისაგან ყველაფერს ითხოვს.

„კოლხეთის" მკითხველებს ეძლევათ საშუალება, თვალი ადევნონ წარჩინებული სტუდენტის, უტა ხარბედიას ახალ ლექსებს...

ნანა ფაჩულია

უწინდებურად პოეტში ქუხდა

რანაირია, ვითომ პოეტი?
მხიარული თუ მუდამ მწუხარი?
ანდაც,როცა წერს, ვის რას უამბობს,
ნუთუ გული აქვს დანაქუხარი?
რანაირია-იტყვის ვერავინ
ჩამოჰგავს ყველას, მაგრამ არავის,
აწყობილია იმ ნაპერწკლებით.
ყველას აზრი რომ სხვისი არ არის.
მხიარულია, თურმე პოეტი,
მხიარულია, თანაც მწუხარი.
ტრაგედიების კომიკურობის
ღია ფარდებით შემომნუსხავი.
ტრაგედიებზე იცინის მუდამ,
ტრაგედიების გზაზე მავალი.
კომედიების ტრაგიზმით უნდა
რომ ისაზრდოოს ქვეყნად არავინ.
როცა, წერს, თითქოს არავინ არის,
დაწერილი კი ეხება ყველას.
არც ნამდვილობა თავისი ამბის
თვითონ არ იცის, რომ იწყებს წერას.
მაგრამ წერს,
იცის რას? — არა!
სულში მუზების რიგი დამდგარა,
თანაც იბრძვიან, იყვნენ პირველნი,
გასხივოსნების ღვთიურ ფრინველნი,
ველარ გაუძლებს გული პატარა.
...ვიღაც პოეტის გზაზე დამდგარა,
არ წაუღია თან პეშვი მიწა.
თვით მეფეების სახელებს ვფიცავ
გარდასახულა,
ველარც კი ვიცან!
ღმერთო, ნუ დალევ ნურასდროს მუზას!
თავად ქუხილი არავის სურდა.
მიეტანება მუზების ხურდას
ყველა, ვინც უყვარდათ
ან ვისაც სძულდა.
უწინდებურად პოეტში ქუხდა.

ეს დამსხვრეული პირამიდები

ეს დამსხვრეული პირამიდები,
როგორც ხიდები, აერთებს წამებს.
ეს დამსხვრეული პირამიდები
როგორ განიცდის და როგორ ავლენს.
ეს დამსხვრეული პირამიდები
უსუსურობის მახსენებს წამებს,
ეს დამსხვრეული პირამიდები
როგორ ილევა...როგორ ანათებს...
ეს დამსხვრეული პირამიდები,
ვით მოგონება ფარაონების,
ეს დამსხვრეული პირამიდები,
როგორც მონება მარათონების
და მიმავალის დიდების წამთან...
მეც დამსხვრეული, ნანგრევთან წავალ
მომაგონდება ძველი დიდება,
ფარაონებზე ლოცვა მინდება!..
ეს დამსხვრეული პირამიდები,
შემოერთებულ ნაპირს ხიდები,
შორს მიმავალი ტანდემი წვეთის,
შემომავალი ნისლების ხედვის,
როგორც პოეტი, სიმშრალეს ებრძვის.
ეს დამსხვრეული პირამიდები...
ოდესმე მაინც ხომ მომინდები!
აღვადგენ, ვპოვებ,გამოვჩრი ლახვარს,
აღმშენებლების მოვძებნი საფლავს,
მივეტანები არასდროს ნანახს,
პირამიდების მოვუსმენ კარნახს.
პირამიდების ნამსხვრევთა ზღვაში
გალაკტიონის ვით ლურჯი რაში,
ქარიშხლად ვპოვებ შენებას მასში!
ნისლით დასერილ ზღვაში ხიდები...
ეს დამსხვრეული პირამიდები!..

* * *

წარმოიდგინეთ, რომ ერთი წუთით მაინც ხართ ადამიანი...

წარმოიდგინეთ?

ალბათ, ვერა, რადგან წარმოდგენა ჩნდება სურვილით და არა საკუთარი თავისთვის წამიერი დაძალებით.

თქვენ კი არასდროს გქონიათ ადამიანობის სურვილი, რადგან არასდროს შეგიტანიათ ეჭვი თქვენს ადამიანობაში და საკუთარი სიკარგით კმაყოფილნი მუდამ სხვაგან ხედავთ თქვენსავე არაადამიანობის ანარეკლს.

ადამიანად დაბრუნება ნიშნავს ბავშვობაში დაბრუნებას, რადგან, როგორი ანცებიც და ეშმაკებიც უნდა იყვნენ, ბავშვები არიან ადამიანები, თქვენ კი ადამიანისგან დარჩენილი მტვერი ბრძანდებით...

ოდესმე მთელი გულით გდომებიათ ბავშვობაში დაბრუნება?

დაგიღვრიათ ცრემლი ადამიანად ყოფნის გახსენებისას?

ამქვეყნად ყველაზე დიდი წინააღმდეგობებით აღსავსე გზა არის გზა, რომელსაც საკუთარ თავამდე მივყავართ.

არავის მოსწონს ჭეშმარიტი ადამიანი. მეტიც, ყველას შურს მისი, რამეთუ ადამიანები არიან ინდივიდები, ამ მატერიალისტ დროებას კი არათუ სახე აქვს დაკარგული, არამედ ყველა ერთნაირი სიყალბით აღვსილა და ელიან მომენტს, როდესაც შეძლებენ შენს გადათელვას, რადგან შენში ხედავენ საფრთხეს.

გინდა, იყო ადამიანი?-მოძებნე ბავშვი საკუთარ თავში!

გინდა, თავისუფლება?-მოთოკე შინაგანი მხეცი

უტა ხარბედია, 2019წ

სოფიო მიქაია

პორტრეტი ინტერიერში

შტრიხები პირველი ინჟინერი ქალის ბიოგრაფიიდან

სენაკის მრავალფეროვანი ისტორიის შემადგენელი ნაწილია მუნიციპალიტეტის მოქალაქეების(აწგარდაცლილებისაც) ცხოვრება-მოღვაწეობა, იმდენად რამდენადაც ისინი მოცემულ დროსა და სივრცეში იღწვოდნენ და ღირებულ კვალს ტოვებდნენ შთამომავალთათვის. ამ კუთხით დღეს გვინდა გავიხსენოთ პირველი ინჟინერი ქალი და მისი ოჯახი სენაკის სინამდვილეში. ეს ქალბატონი სოფიო მიქაიაა, მარტვილელი, სენაკელი კოკი ფაჩულიას მეუღლე. იგი დაიბადა 1908 წელს. დაუმთავრებია ჯერ თბილისის მელიქიშვილის სახელობის ქიმიური ტექნიკუმი, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტის სრული კურსი სილიკატური სპეციალობის ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაციით. (ესკურსიამ სპეციალობით სტუდენტთა პირველი გამოშვება ყოფილა).

„სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო"-ნათქვამისა არ იყოს, სენაკში სამუშაოდ მოვლენილი ქალბატონი სოფიო კოკი ფაჩულიას შეხვდა, გარკვეული დროის შემდეგ კი ისინი დაქორწინდნენ.

სოფიოს შრომითი ბიოგრაფია სენაკში კირის ქარხნის ტექნიკური ხელმძღვანელობით (მთავარიინჟინერი) იწყება. აქ მან უმწიკვლოდ, შესაშური პროფესიონალიზმის საქმეში გამოვლენით 20 წელი იმუშავა. ამაზე იმ პერიოდში რესპუბლიკური პრესაც წერდა თურმე. მას საკვალიფიკაციო კომისიის დადგენილებით მინიჭებული ქონდა ასაფეთქებელ სამუშაოთა წარმოების სრული უფლება. ასე რომ ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხი განპირობებული იყო სოფიოსა და მის თანამეინახეთა პროფესიონალიზმით, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სოფიოს ინიციატივით სოფელ ინჩხურში (მარტვილი) 1951-52 წლებში აშენებულა კირის გამოსაწვავი ორი საველე ღუმელი. ძლიერი ნებისყოფით, შეუვალობითა და მებრძოლი სულისკვეთებით გამორჩეული ქალბატონისათვის თანამედროვეთ ფოლადის ქალი შეურქმევიათ. ის ფრონტზე დაჭრილი მეუღლის მოვლას, სამსახურეობრივ საქმინობას და შვილების აღზრდას ერთდროულად ახერხებდა, ამასთან სხვებსაც არ ტოვებდა უყურადღებოდ, საჭიროების მიხედვით ყველას ეხმარებოდა, აკვალიანებდა. დაჯილდოებული ყოფილა სსრკ საშენ მასალათა მრეწველობის „ფრიადოსნის" სამკერდე ნიშნით, მედლებით, ქების სიგელებით. ამავე დროს წარდგენილი იყო ლენინის ორდენზე(იმდროის უმაღლეს ჯილდოზე), მაგრამ გადასახლებაში მყოფი ძმის გამო არ მიუციათ ჯილდო. უფრო მეტიც, პარტიიდანაც გაურიცხიათ, მაგრამ ცენტრალურ კომიტეტში გაუსაჩივრებია და ისევ აღუდგენიათ.

წლების შემდეგ ქალბატონი სოფიო ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში გადადის სამუშაოდ. ასევე იმუშავა სენაკის რკინიგზის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ, ტრესტ საქსოფლმშენის ცხაკაიას №5 სამმართველოში, სამონტაჟო უბანში ოსტატად, აშენებდა სატრანსფორმატორო ქვესადგურებს.

განათლებულმა, საქართველოს ისტორიის მოყვარულმა დედამ შვილებს - ზაირა და როენა ფაჩულიებს-სწავლისა და შრომის, ტრადიციებისა და ქვეყნის სიყვარული, ზნეობრივი ღირებულებების ერთგულება შთაუნერგა. ამიტომაც ისინიც განათლებულ, ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ.

ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან ქალბატონი სოფიო. მიუხედავად განვლილი ცხოვრების სიმძიმისა, მან 91 წელი იცოცხლა.

ჩინებული ქართველი და თავისი საქმის პროფესიონალი ყოფილა სოფიოს მეუღლე კოკიც.პროფესიით ეკონომისტი, მუსიკალური ნიჭითაც დაუჯიდოებია ღმერთს. უკრავდა სხვადასხვა ინსტრუმენტებზე, განსაკუთრებით კლარნეტი უყვარდა. მღეროდა რემა შელეგიას გუნდში, მსახურობდა თეატრში, ძმასთან ერთად უთამაშნია ცნობილ სპექტაკლში „სამშობლო". სამამულო ომში მძიმედ დაჭრილი სამხედრო ჰოსპიტალიდან შინ დაბრუნებულა. გამოჯანმრთელების შემდეგ რამდენიმე წელი მუშაობდა ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ. შერყეული ჯანმრთელობის ადამიანი 54 წლის გარდაცვლილა.

სოფიო და კოკის ჯანმრთელი სულისკვეთებით დაღდასმულ ოჯახში შთამომავლებიც შესატყვისი სულიერებით გაიზარდნენ. ზაირამ სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დედის პროფესიას დაეუფლა. ზაირას შრომით ბიოგრაფია იმდენად მრავალფეროვანია რომ მასზე სხვა დროს შევჩერდებით.გეტყვით მხოლოდ, რომ მას სენაკში არაერთ საწარმოში უმუშავია, კვალიფიკაცია აუმაღლებია, როგორც საქართველოში, ისე რუსეთის ქალაქებში, ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო მინიმუმის საგნები, აქვს დაწერილი ნაშრომი თემაზე „ხელოვნური ბოჭკოების ღებვაზე", არაერთი სტატიისა და წიგნის ავტორია. ტურისტული საგზურებით უცხოეთის არა ერთ ქვეყანაშია ნამყოფი, დაჯილდოებულია მედლებით და სიგელებით, ფლობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს და ა.შ.

როენა ფიზიკოსი გახდა, 47 წელი სამშენებლო მექანიკის და სეისმოლოგიის ინსტიტუტის ბეტონების ლაბორატორიაში მეცნიერ-მუშაკად მუშაობდა, ცხოვრობს ოჯახთან ერთად თბილისში.

ჯოჯი ფაჩულია და მისი ბებია ფორმა

სოფიო მიქაია (შუაში) სტუდენტობისას

კოკის გარდაცვალების შემდეგ ქალიშვილებს მამობას დედა უწევდა. ობლების აღზრდაში სოფიოს გვერდში ედგნენ დედამთილი ქიონია ხუხუნი და დიდი ბებია –ქალბატონი ფორმა შურღაია.

ქიონია ნოქალაქევის საბლაღოჩინო ოლქის ხელმძღვანლის, რომლის შემადგენლობაში შედიოდა: აბედათის, ნახუნაოს, უშაფათის, ფოცხოს, თამაკონისეკლესიები, ივანე ხუხუნის ქალიშვილი გახლდათ, ივანე მიურატების კარის მღვდელი ყოფილა. დროდადრო გორდში, დადიანების საზაფხულო რეზიდენციაში დადიოდა და მღვდელმსახურებას ეწეოდა. ამავე დროს ლეძაძამეს მაცხოვრის სახელობის ეკლესიასთან მას სამრევლო-საეკლესიო სკოლა ჰქონია გახსნილი. ასეთი დამსახურებული და მრავალმხრივ მოღვაწე პიროვნების ქალიშვილი სათნოებით, კაცთმოყვარეობით, ცოდნით ყოფილა გამორჩეული. თუმცა მას ბედისწერამ მძიმე განსაცდელი მოუვლინა და სრულიად უდანაშაულო მეუღლე დაუხვრიტეს. ეს გახლდათ გიორგი ფაჩულია, განათლებით იურისტი ერუდირებული პიროვნება. 1924 წელს, დასმენების პერიოდში, უდანასაულოდ დაუჭერიათ. შუა ღამეს დასახვრეტავად გაუყვანიათ თეკლათის მიდამოებში, სიის ამოკითხვისასფაჩულიას დაძახებაზე, წინ გამოსულ გიორგისთვის მოგვარეს უსვრია, „ბიჭო, გიორგი ვარ, ფაჩულია, ვერ მიცანიო", მაგრამ …… ძირს დაცემულა უსულოდ. ბედის ირონიაც ამას ჰქვია.

იმ დღეს ვახანიას, ყოფილი ლიბკნეხტის ქუჩის სამ ოჯახში შეიცხადეს თურმე. დასტიროდნენ ოჯახის წევრები გამთენიისას მოტანილ სისხლით დასვრილ დახვრეტილთა სამოსს.

საღსალამათი შვილის ასეთი ხვედრის გამო მთელი ცხოვრება გლოვობდა დიდი ბებია ფორმა შურღაია. გონიერი, ადამიანების მოყვარული, ოჯახზე მზრუნველი, ულამაზესი ქალბატონი ყოფილა იგი. სერგი მაკალათიას, ფორმას სილამაზით აღფრთოვანებულს, შტაბეჭდილება მასზე თავის წიგნში დაუფიქსირებია.

ძვირფასო მკითხველო, დღეს წარსულის ანალებს „წავართვით" ერთი სენაკელი ოჯახის ცხოვრება – მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეპიზოდები, ადამიანების, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლისათვის, ჩემი, შენი, ჩვენი კეთილდღეობისათვის შრომობდნენ, ქმნიდნენ, ზოგჯერ თავსაც სწირავდნენ. დამეთანხმებით, ალბათ ასეთი ადამიანების ცხოვრებას უნდა ვიცნობდეთ, პატივს მივაგებდეთ, რომ ჩვენ თვითონ არ მოვწყდეთ ფესვებს, უნდა გავითავისოთ მათი კეთილი საქმეები, გამოცდილებები, ღირსეულ მემკვიდრეებად რომ დავრჩეთ. ვეცდებით გ ზადაგ ზა შემოგთავა ზოთ წარსული ანალებიდან ანალოგიური კორესპონდენციები.

ნინო სართანია

კონსტანტინე (კოკა) ნარმანია

შენ ყოველთვის დიდ მოგონებად დარჩები ჩემში, მართალია დიდი ხანი არ მოგვიწია ერთად ყოფნამ, თან ეს ის პერიოდი იყო, როცა არ მქონდა გააზრებული რა როგორ იყო ცხოვრებაში, მაგრამ მაინც უდიდესი კვალი დატოვე ჩემში. ყოველთვის მიხარია როცა ძალიან ბევრი ადამიანი გიგონებს და იხსენებს შენს გაკეთებულ სიკეთეს, რამდენი კარგი საქმე გქონდა გაკეთებული, რამდენჯერ დაცემული წამოგიყენებია და დაჩაგრულისთვის გაგიწვდია ხელი მიუხედავად ასაკისა... ახლა ხშირად ვუფიქრდები და ვხვდები თუ რამდენად მეტი მეცოდინებოდა შენ რომ ჩემთან იყო და რამდენი გამოცდილება მექნებოდა, უფროსი ძმა მაინც სხვაა, ახლა ვხვდები რამდენი დამაკლდა შენი წასვლით და რამდენს გავაკეთებდით ერთად ... მართალია გინდოდა კალათბურთელი გამოვსულიყავი ... , ეს სურვილი ვერ შეგისრულე მაგრამ, გპირდები ჩემს თითოეულ წარმატებას მე შენ მოგიძღნი და არასოდეს დამავიწყდები... შენთვის მთავარი ღირებულება კაცობა იყო და მეც ყველაფერს გავაკეთებ რომ შენს გზას არ გადავუხვიო, ვცდილობ ყველგან და ყველაფერში მაქსიმუმი გავაკეთო და ამით ცოტათი მაინც შევუმსუბუქო ჩვენს მშობლებს ტკივილი. ყოველთვის იყავი, ხარ და იქნები მაგალითი: ადამიანის, კაცის, ქართველის. მეამაყება რომ ასეთი ძმა მყავდა, მეამაყება რომ ჩვენს ძარღვებში ერთი სისხლია, რომელიც მუდამ იბრძვის კაცობის და სახელის მარადიული დამკვიდრებისთვის, ეს ოდითგან მოგვსდევს და გპირდები მეც ამ გზას გავყვები... დრო გადის და თანდათან უფრო და უფრო ვხვდები თუ რამხელა პასუხისმგებლობა მაქვს. დრო გადის, შენი სახელი კი უკვდავი რჩება. მახსოვს ჩვენების ცრემლიანი თვალები რა რთული საყურებელი იყო, იმ დღის შემდეგ სამყაროს ხედვა თითქოს შეიცვალა ჩემში... ვამაყობ ჩვენებით, მიუხედავად ყველაფრისა ძალა მოიკრიბეს და ყველაფერს აკეთებენ ჩემთვის.. ყოველთვის როცა რაიმე წარმატებას ვაღწევ, შენ გიძღვნი და ასე იქნება მუდამ.

შენი ძმა

იგორ ნარმანია

სარედაქციო ჯოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499